



ჩვენთან იყო ბრიტანული მანდატის მმართველობა და დღესდღეობით არსებული ზოგიერთი კანონი იმ პერიოდის კანონია. როგორც წესი, ჩვენ ვცვლით მათ ისრაელის თანამედროვე კანონმდებლობით, მაგრამ მათი ნაწილი ჯერ კიდევ არსებობს. ასე რომ, ვფიქრობ, ძირითადი გავლენა უფრო ბრიტანული სისტემიდან მოდის, ვიდრე ლათინური ტრადიციიდან. მას შემდეგ ისრაელმა შექმნა დამოუკიდებელი სასამართლო, დამოუკიდებელი პროკურატურა, ისრაელის თვითმყოფადი სამართლებრივი ტრადიცია, თუმცა მაინც გვაქვს დარჩენილი რაღაც ბრიტანული სისტემიდან.

### **რა თანამედროვე ტენდენციები შეინიშნება ისრაელის სამართლებრივი სისტემის განვითარებაში?**

**მინისტრი გიდეონ საარი:** ისევე როგორც სხვა დასავლურ ქვეყნებში, ჩვენს ქვეყანაშიც გვაქვს დავა სამართლებრივ აქტიურობასთან და სასამართლო აქტივიზმთან დაკავშირებით. მე ვიტყვოდი, იქმნება პოლიტიკაზე, გადაწყვეტილებებზე და სხვადასხვა საკითხზე კანონის უკიდურესი ზეგავლენის ზოგადი განცდა. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია ხელისუფლების სამართლებრივ სამსახურთან, მაგრამ ამაზე მეტად – შიდა დებატებთან უზენაესი სასამართლოს როლთან მიმართებით, რომელიც უფრო აქტიური გახდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში და გავრცელდა პოლიტიკის საკითხებზე, ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი პრინციპებით ან დამოკიდებულებებით, რომლებიც არ არსებობს თავად სამართალში. როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, დღესდღეობით უზენაეს სასამართლოში გვაქვს აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობა: ერთი, უფრო ლიბერალური და, მეორე, უფრო კონსერვატიული, თუმცა მთლიანობაში არსებობს კრიტიკა, რომელიც უარყოფს იმ ფართო როლს, რომელსაც სამართალი ასრულებს საზოგადოებრივ ასპარეზზე.

### **რას იტყვით ისრაელში ახალგაზრდა იურისტების კვალიფიკაციის დონეზე; იურიდიულ განათლებას ძირითადად ისრაელში იღებენ თუ საზღვარგარეთ?**

**მინისტრი გიდეონ საარი:** წარსულში ახალგაზრდების უმეტესობა სასწავლებლად მიდიოდა საზღვარგარეთ, ძირითადად დიდ ბრიტანეთში, თუმცა არა მხოლოდ სამართლის შესასწავლად. მაშინ ძალიან რთული იყო უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება. ადგილები იყო ძალიან ცოტა, თუმცა მოთხოვნა – მაღალი. მაგრამ 90-იანი წლების შუა პერიოდიდან გაიხსნა კოლეჯები და სამართლის მიმართულება გახდა ძალიან პოპულარული. შესაბამისად, ქვეყანაში ყოველწლიურად ათასობით ახალი სტუდენტი გვყავს იურიდიულ ფაკულტეტებზე, თუმცა კოლეჯებში განათლების დონე უფრო დაბალია უნივერსიტეტებთან შედარებით. ეს კი აისახება იურისტების კვალიფიკაციაზე. ზოგიერთ მათგანს, ვინც ამთავრებს იურიდიულ ფაკულტეტს, შემდგომ უჭირს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და ისინი პრეტენზიას გამოთქვამენ გა-

მოცდების დონესთან დაკავშირებით. მცდელობაც კი იყო, ჩარეულიყვნენ კანონმდებლობაში, რათა ჩაეხრებინათ ეს გამოცდები. ყოველ შემთხვევაში, ზოგადად არის ძალიან ბევრი იურიდიული ფაკულტეტი, რომელთაგან ყველა არ არის იმ ხარისხის, როგორსაც ვისურვებდით, ასევე არის ძალიან ბევრი იურისტი, და ეს რა თქმა უნდა გავლენას ახდენს შემდგომში იურისტების საშუალო ხარისხზე. მე ვიტყვოდი, რომ იურისტის პოზიცია საზოგადოებაში არ არის ისეთი, როგორიც ადრე იყო.

### **რამდენად ეხმარება ტექნოლოგიური განვითარება ისრაელის სახელმწიფოს იუსტიციის სისტემას?**

**მინისტრი გიდეონ საარი:** რა თქმა უნდა, ტექნოლოგია ცვლის სამართლებრივ სისტემას. დღესდღეობით, სისხლის სამართლის საქმეებში ბევრი მტკიცებულება არსებობს ტელეფონებიდან, კომპიუტერებიდან. თუმცა ჯერ არ გამოგვიყენებია ტექნოლოგიის სრული პოტენციალი, რომელმაც შეიძლება სამართლებრივი სისტემა უფრო ეფექტიანი გახადოს. ამჟამად ვმუშაობთ, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეების გაციფრულებაზე, რაც საქმეს ძალიან გაამარტივებს. ყოველთვის, როდესაც ადამიანი მიდის სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე, მას სჭირდება ფოტო, ბევრი დოკუმენტი და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ პროცესის გაციფრულება დიდი აქტივი იქნება. ასევე ვფიქრობთ სხვა ზომებზეც, რომლებიც უნდა მივიღოთ. ჩვენთან ჯერ კიდევ მოქმედებს სასამართლო პროცესის დოკუმენტირების პრიმიტიული ბეჭდვის მეთოდი, მისი ჩაწერის ნაცვლად, რაც ადვილი და ბევრად უფრო ზუსტი იქნებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს მეთოდი ჯერ არ დაგვინერგავს, თუმცა ვმუშაობთ ყველა ამ განზომილებაზე. ძირითადად, ჩემი გენერალური დირექტორი არის დაკავებული იმით, რომ მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რათა პროცესები უფრო ეფექტური გახდეს.

### **რა ინოვაციები არის დანერგილი ისრაელის სახელმწიფოს იუსტიციის სისტემაში?**

**იუსტიციის სამინისტროს გენერალური დირექტორი ერან დავიდი:** ამ კითხვაზე შეგვიძლია სამი მიმართულებით ვუპასუხოთ. მიწის რეგისტრაციის ორგანოში გვსურს, რომ წლის ბოლომდე ოპერაციების, მოქალაქეთა მოქმედებების 90%-ზე მეტი განხორციელდეს ონლაინ, სახლიდან გაუსვლელად. ეს არის დიდი ნაბიჯი, მათ შორის, იმ მოქმედებებთან მიმართებით, რომელთათვისაც საჭიროა სასამართლოს თანხმობა. ასეთი თანხმობის მიღებაც შესაძლებელი იქნება სახლიდან გაუსვლელად. ეს არის ერთი მიმართულება. ასევე, სისხლის სამართლის სფეროში ვაპირებთ პოლიციის დაკავშირებას სახელმწიფო პროკურატურასთან და სასამართლოებთან კომპიუტერის საშუალებით, რათა გავთავისუფლდეთ საქალაქებისგან, საბუთებისგან... ყველაფერი ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ, შესაძლებელი იქნება ღილაკზე ერთი დაწკაპუნებით მტკიცებულების მიღება...

ეს სისხლის სამართლის მიმართულებით, ხოლო სამოქალაქო სამართლის მიმართულებით შეიძლება აღინიშნოს სრულად ციფრული სასამართლოს დანერგვა, რომელსაც ჰქვია ODR, ანუ დავების მოგვარება ონლაინ. ეს არის სრული სისტემა, რომლის ფარგლებშიც ყველა წარდგინება, ბრალდებების ჩამოყალიბება და, რა თქმა უნდა, თვითონ სასამართლო განხილვების ჩატარებაც მოხდება სახლიდან. ასე რომ, ეს დიდი პროექტია. იმედი მაქვს, წლის ბოლომდე გავუშვებთ სისტემას საპილოტე რეჟიმში. ეს არის ის სამი პროექტი, რომელიც დავგეგმეთ.

**მინისტრი გიდეონ საარი:** გვსურს, ყველაფერი გავუზიაროთ ჩვენს მეგობრებს საქართველოდან, იმდენად, რამდენადაც ორმხრივი კავშირები ჩვენს სახელმწიფოებს შორის უფრო მყარდება. ჩემი ვიზიტის მიზანი არის სამართლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება, ცოდნის, ინფორმაციისა და ახალი მეთოდების გაზიარება და, ამ თვალსაზრისით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაძლიერება.

**ისრაელის სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოს შენობა მსოფლიოს არქიტექტურული ღირსშესანიშნაობაა. სხვა სასამართლოს შენობებსაც ასეთი უჩვეულო, ორიგინალური და დახვეწილი დიზაინი აქვთ?**

**მინისტრი გიდეონ საარი:** არა, ასე ვერ ვიტყვოდი. ეს შენობა განსაკუთრებულია. გაგვიმართლა, რომ ეს პროექტი დაგეგმა და მასზე მუშაობდა მეირ შამგარი, რომელიც იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მანამდე კი – ისრაელის გენერალური პროკურორი. მას ესმოდა უზენაესი სასამართლოს შენობისთვის ძლიერი არქიტექტურის შექმნის მნიშვნელობა. გარდა ამისა, შენობა მდებარეობს უნიკალურ ადგილზე. ის ტოპოგრაფიულად მაღლა დგას, ოდნავ მაღლა, ვიდრე ისრაელის პარლამენტის (ქნესეთის) და პრემიერ-მინისტრის ოფისის შენობა, რომელიც ახლოს მდებარეობს. ეს პროექტი განხორციელდა 90-იან წლებში ან 90-იან წლებამდე ცოტა ადრე. ყოველ შემთხვევაში, სხვა სასამართლოს შენობები შედარებით უბრალოა. დღესდღეობით, როდესაც ვაშენებთ სასამართლოს შენობებს, ვცდილობთ, რომ მათ ჰქონდეთ საკმარისი სივრცე და სათანადოდ ფართო დარბაზები სასამართლო განხილვებისთვის, მაგრამ ისინი არაფრით ჰგავს უზენაესი სასამართლოს შენობას. ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ გახდა ეს ადგილი მიმზიდველი ტურიზმისთვის, ძირითადად შიდა ტურიზმისთვის, მაგალითად, სკოლებისთვის, საიდანაც მის დასათვალიერებლად მიდიან, არის არა მხოლოდ დაწესებულება, არამედ, როგორც არქიტექტურული ღირსშესანიშნაობა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არის მნიშვნელოვანი, რადგან ხელს უწყობს განათლებას, დემოკრატიას და სამართლის უზენაესობას.